№ 82
ოთხშაბათი, 30 აპრილი 1897 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877 – 1897

# ივერია

№ 82
ოთხშაბათი, 30 აპრილი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ჭვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" გამგე კომიტეტი აუწყებს წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ **წლიური საზოგადო კრება წევრთა** დანიშნულია ამ წლის 22 მაისს, დილის 11 საათზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლში.

**გან'ახილველნი არიან:**

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1-ს იანვრიდგან 1896 წ. 1-ს იანვრამდე 1897 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1897 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის სადგურისათვის მიწის სყიდვის შესახებ.

4) სხვა-და-სხვა თხოვნა და წვრილმანი საგნები.

(5—უ—2)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **მორიგი საზოგადო კრება** ბანკის წევრთა დამფუძნებელთა და მესესხებელთა იქნება **ამა წლის 20 მაისს დილის 10 საათზე**, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში, სასახლის ქუჩაზედ, ტფილისში.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება მთავრობის მიერ მომხდარ რევიზიის ანგარიშის გამო.

2) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1896 წლის ანგარიშისა.

3) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

4) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას განაწილებული ის ფული, რომელიც საანგარიშო წლის მოგებითგან უნდა გადაიდოს საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნულს თანხაში.

5) მოხსენება იმის შესახებ, რომ სესხი იქმნას გაცემული გირავნობის ფურცლების ვენახების გირაოზედ.

6) მოხსენება ბანკის წევრთა საზოგადო კრების წესის შეცვლის შესახებ.

7) მოხსენება ბანკში დასაგირავებლად წინადადებულ მამულების დაფასების წესდების შესახებ.

8) წინადადება ბანკის 49 და ცალკე 60 წევრისა, კრედიტი გაიაფებულ იქმნას იმითი, რომ შემცირდეს სარგებელი, რომელიც ერთმევათ მოგირავნეთ ბანკის მართვა-გამგეობისა და სხვა ხარჯისათვის, რაოდენობა სავადო გარდასახადის დროზედ შეუტანლობის ჯარიმისა და განცხადებათა დაბეჭდვის ხარჯისა, და

9) არჩევანი თანამდებობის მქონეთა, ნაცვლად ზედამხედველ კომიტეტის წევრთა უგანათლებულესის თავადის პ. ა. გრუზინსკისა, თავ. რ. დ. ერისთავისა, თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილისა, თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილისა, თავ. ლ. გ. ჯანდიერისა, თავ. დ. ა. გურამიშვილისა, თავ. ვ. მ. თუმანოვისა, ა. ი. კობიაშვილისა, ა. ი. ყიფიანისა და გ. დ. ჟურულის; ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა; დამფასებელ კომისიის წევრის კ. ლ. ფურცელაძისა და გამგეობის წევრთა ორის კანდიდატისა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილისა და თავ. ა. რ. ვახვახიშვილისა, რომელნიც რიგით ანებებენ სამსახურს თავს.

ამასთან ერთად ზედამხედველი კომიტეტი აცნობებს ბ-ნთ ბანკის წევრთ, რომ იმათგან რწმუნების ქაღალდები საზოგადო კრებაში მონაწილეობისა 1897 წლის 10 მაისს შემდეგ აღარ მიიღება. ამ რწმუნების ქაღალდების მიღება მთავრდება 10 დღით ადრე საზოგადო კრების დაწყებამდე.

(3—ნ.—1)

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 1 მაისს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას კრება აქვს დანიშნული ისარლოვის სახლებში, საპერის ქუჩაზე, შემდეგი საგნების განსახილველად: 1) მიმდინარე საქმენი; 2) მოხსენება ა. ნ. ბაბაევისა: „რამდენიმე მაგალითი ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს ნერვების ავადმყოფთა განყოფილებიდგან", ფ. გ. როზენბაუმის მოხსენება: „ახალი გამოკვლევა იმისი, თუ როგორ ჰმოქმედებს ნაფტალინი".

*** ტფილისის მოქალაქეს იაგორ ივანეს ძე დოლანოვს თავისს საკუთარ სახლების დარბაზში (მე-9 ნაწილში, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად) გაუმართავს წყლის დიდი აუზი, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ცურაობა ისწავლონ. აუზს სიგრძე $7^1/_2$ არშინი ექნება და სიგანე $6^1/_2$ არშინი, ქვეშ დაგებულია ცემენტი და გამოყვანილია შიგ აუზში ორი მილი ცივისა და ცხელის წყლისათვის. თუ წყალი ისე გაცივდა, რომ საშიშია ბავშვებისათვის, მაშინ ადუღებულს წყალს მიუგდებენ და გაათბობენ. ერთის სიტყვით, ყველაფრით ისეთ ნაირად არის მოწყობილი, რომ არაფერი შიში არ უნდა ჰქონდეთ მშობლებს ბავშვების დარჩობისა. აქვე აკეთებს მეორე აუზს შუშაბანდისას, რომელშიაც უჩვენებს ბავშვებს, თუ რა მდგომარეობაშია კაცი როდესაც ირჩობა, როგორ უნდა გადაარჩინოს' და მოუაროს წყლიდგან გამოყვანის შემდეგ, რომ მოასულიეროს და გონებაზედ მოიყვანოს. უჩვენებს როგორ უნდა იცურაოს კაცმა წყალში ღია თვალებით და დასამტკიცებლად თითონვე წყალში ყოფნის დროს 2 ვერცხლის წვრილ ფულს დასთვლის და დაახურდავებს. ცურაობის სწავლა შეუძლიანთ ბავშვებს, 8 წლიდგან დაწყებული 18 წლამდის და მთელის ზაფხულის სწავლის ფასი 10 მ. იქნება. ვისაც ერთბაშად არ შეუძლიან შეტანა ამ ფულისა, იმან ჯერ 5 მ. უნდა წარადგინოს და დანარჩენი შემდეგ, როცა შეისწავლის ცურაობას. სწავლისათვის შეუძლიანთ იარონ დილით შუადღემდის და საღამოთი აგრილებისას. ბ-ნ დოლანოვს ნება-რთვის ასაღებად უკვე მიუცია თხოვნა.

*** კავკასიის ბაღოსნობის საზოგადოების განყოფილებას განზრახვა აქვს მომავალ წლის ოქტომბერში გაჰმართოს გამოფენა ბაღეულობისა, სახელდობრ: ხილისა, ყვავილებისა, ძვირფას და საჭირო მცენარეთა თესლეულობისა, აგრეთვე ღვინისა, თაფლისა, სანთლისა, ყაჭისა და სხვ. მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან დანიშნულია ჯილდოდ: ერთი ოქროს მედალი, 2 პატარა მედალი ვერცხლისა, 5 ბრინჯაოსი და 10 ქების ფურცელი, რამდენიმე მედალი რუსეთის ბაღოსნობის საიმპერატორო საზოგადოებისაგან და ამავე საზოგადოების კავკასიის განყოფილებისაგან პატარა ოქროს მედალი პროფ. ა. პ. ბოგდანოვის სახელობაზედ, რომელმაც დიდი შრომა გასწია სასარგებლო მცენარეების გავრცელებისათვის კავკასიაში. გამოფენისათვის გამოგზავნილმა ნიმუშებმა რომ დაიგვიანოს, მაინც შემოწმებული იქნება მის ავ-კარგიანობის შესამოწმებლად და თუ ღირსად იქმნა ცნობილი, ჯილდო დაენიშნება იმისს გამომფენს.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს, გაზ. „კავკასის" სიტყვით, რამდენისამე ცვლილებით დაუმტკიცებია „ტფილისის სიფხიზლის საზოგადოების" წესდება.

*** ნოტანები: 28 აპრილს მე 64 ვერსზედ, როდესაც სახალხო მატარებელი მიდიოდა, რკინის გზის დარაჯის ივანე ცინცაძეს პატარა სამი წლის ვაჟი გამოვარდა სადარაჯოდგან და ლიანდაგი უნდოდა გადაერბინა, ორთქლმავალმა წინა რკინა ჰკრა საფეთქელში, ბავშვი რამდენისამე საჟენის მანძილზედ გადისროლა და მძიმედ დააშავა. დაშავებულის მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** ამ ცოტა ხანში ტფილისში ჩამოვა ბუხარის ემირი, რომელიც მოემგზავრება კავკასიის სამკურნალო წყლებზე.

# ფელეტონი

**ნაწყვეტი**

წინამასწარა ენძელავ,
მთა-ველი დაგიმშვენია,
ყაპყისგან დამძრალს მზის თვალზე
ცრემლები დაგიდენია,
რატო არ უცდი გაზაფხულს,
რადა ხარ მოუსვენია,
ამ ღამ რო ზეცამ გაგყინოს —
გაქრება დღ'ენი შენია.

დ. მაჩხანელი

**სამეცნიერო წერილი**

(დარვინის ევოლიუციონური თეორია)

(შემდეგი *)

მესამე ფაქტორი თვითნებითი დ ბუნებური შერჩევაა, რომელთაც გავლენა ჰქონდათ ცხოველების დ მცენარეების შეცვლაზედ. იმას წინანდელნი მეცნიერები სრულებით ყურს არ ათხოვებდნენ. პირველად ყურადღება მიაქცია დარვინმა და უჩვენა მისი ძლიერი მნიშვნელობა ორგანიზმების შეცვლის დროს. რაში მდგომარეობს ეგ შერჩევა, ყველამ კარგად იცის, რადგან გაეგონება, რომ მეჯოგეებს ჰყავთ სხვა და-სხვა ჯიშის ცხენები, სხვა-და-სხვა ჯიშის ხარები, ცხვრები და სხვა. ყველამ იცის, რომ ეს ჯიშები მათ შეჰქმნეს და არა პირდაპირ ველურ მდგომარეობაში იყვნენ იგინი. ეს შერჩევა, რომელიც თხოულობს დიდს დაკვირვებას, დიდს ხელოვნებას, იმაში მდგომარეობას, რომ თუ ადამიანს მოეწონება, ანუ ჰკვაში მოუვა რომელიმე ცვლილება ორგანიზმისა, მაშინ იგი სცდილობს გაათვინიეროს ეს ორგანიზმი, შერთვას იგი სხვას ამავე ცვლილების მქონე ორგანიზმს, რათა ჩამომავლობაში ეგ ცვლილება გაფართოვდეს, უფრო განვითარდეს და უფრო მკვიდრად ჩაენერგოს სხეულში. ბუნება იძლევა უხვს მასალას, მხოლოდ ადამიანი ამ მასალიდგან იღებს იმას, რაც შეჰფერის, ეთანხმება ან სდევნის რაც ეწინააღმდეგება მას და ამ გვარად, გარეგან მოქმედებით სცვლის ორგანიზმის სხეულს თავისის ჭკუისა და სურვილისამებრ. სჩანს, ადამიანი ნელ ნელა აკეთებს სხვა-და სხვა ორგანიზმების ფორმებს, მხოლოდ თვით-კი არა, არამედ სარგებლობს ამ ფორმის მიდრეკილებით. უწინ და ეხლაც ამ თვით-ნებით და უნებურ შერჩევისას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენო, ამბობს დარვინი: ინგლისში უწინ კანონი არსებობდა, რომლის ძალითაც გაყვანა საზღვარ-გარეთ კაი ჯიშის ცხოველებისა აღკრძალული იყო. პლინის აღწერილი აქვს მსხლები, რომლებსაც სთვლის ცუდ, უგემურ ხილად; რომ შევადაროთ ისინი ეხლანდელ მსხლებთან, დიდ განსხვავებას ვნახავთ, რადგან ისინი შერჩევით გაუმჯობესდნენ. ყოველი მებაღე კაი მცენარეს სტოვებს და ცუდსა სთხრის, კაი თესლს ინახავს, ამრავლებს და ცუდს-კი სპობს. ყოველი მონადირე არჩევს და აულლებს ისეთს ძაღლებს, რომლებმაც გამოიჩინეს ნიჭი ნადირობისა, და სხვანი.

ამ გვარად, ცხოვრების გარემოების გავლენით, სხვა-და-სხვა ნაწილების ანუ ორგანოების ერთმანეთთან დაკავშირების გამო, ჩამომავლობრივის გარდაცემის მიზეზით, ორგანოების სხვა-და-სხვა ხმარებისაგან, შერთვის, შერჩევის გავლენით და უვარგის ორგანიზმების მოსპობით გაჩნდნენ მრავალნი ჯიშნი გაშინაურებულ ცხოველებისა და მცენარეებისა. დარვინი ზრდიდა ყოველის ჯიშის ქათმებს, რომელნიც-კი მოიპოვებოდა ინგლისში, რთავდა მათ ერთმანეთთან, თვალყურს ადევნებდა იმათს ცხოვრებას, იკვლევდა იმათს ჩონჩხებს და იმ დასკვნას დაადგა, რომ ყოველი ეს ქათმები წარმოშობილნი არიან ერთ გარეულის ინდოეთის ქათმიდგან, რომელსაც სახელად ეწოდება gallus bankiva. ესევე ითქმის ყველა შინაურ მტრედებზედ, რომელნიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარეგან ფორმით, კისრების სიგრძით, სხვა-და-სხვა ნისკარტებით და კუდის ფრთების რიცხვით, ფერით, ფრენით, კვერცხების სიდიდით და იმათის ფორმით, ხმით, ძვლების მოწყობილებით, ხერხემლის ძვლებისა და ნეკნების სიმრავლით; ბუნების მეტყველს რომ ენახა ეს მტრედები ველურ მდგომარეობაში, უსათუოდ სხვა-და-სხვა გვარისად ჩასთვლიდა, თუმცა ყველა იგინი წარმოშობილნი არიან, როგორც დაამტკიცა დარვინმა, ერთ გვარ ველურ წოპწოპა *) მტრედისაგან, რომელსაც სახელად ეწოდება Columba livia.

ჩვენ ვნახეთ რა გვარად შეიცვალნენ შინაური ცხოველები, დარვინის თეორიის ძალით ანუ მისგან აღმოჩენილ პროცესის მოქმედებით. ეხლა გადავხედოთ როგორ ჰმოქმედობს იგი პროცესი თვით ბუნებაში და რა კანონების ძალით ხელმძღვანელობს. რასაკვირველია, ის მასალა, რომელიც ხელთ ჰქონდა ადამიანს, როდესაც იგი სცვლიდა გაშინაურებულ ცხოველების ფორმას, არსებობს თვით ბუნებაშიაც, იმიტომ-რომ ეს მასალა ეკუთვნის თვით ბუნებას და არა ადამიანს. ეს ბუნების მასალა უფრო ძლიერია, ვიდრე ის, რომელიც მოიხმარა ადამიანმა. მართლაც, რომ გადავათვალიეროთ ბოტანიკური და ზოოლოგიური კლასსიფიკაციები, გავოცდებით რამდენი სხვა-და-სხვა ოჯახია, რამდენი სხვა-და-სხვა გვარია, სხვა და-სხვა ჯიშია, როგორც მცენარეებისა, ისე ცხოველებისა. უწინ, დარვინის თეორიამდის, ამ კლასსიფიკაციებს ადარებდნენ დიდრონ ველებთან, რომელნიც გაყოფილნი იყვნენ კედლებით და ამ გვარ განყოფილებაში სთვლიდნენ გამორკვეულ რიცხვს ცხოველებისა და მცენარეებისას. დარვინის შემდეგ, რომელმაც უჩვენა, რომ ასეთი განცალკევება არ არსებობსო, ამ კლას-

*) იხ. „ივერია" № 76.

*) წოპწოპას ტფილისში ეძახიან გარეულ ნაცრის ფერის მტრედს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** 27 აპრილს გამართულს დოღზე პირველი ჯილდოები მიიღეს: ალაიარ-ბეკ ზიულგადაროვის ცხენმა „დელიბასმა“, ჰასან-ბეკ ზიულგადაროვის ცხენმი „დამირმა“, გ. ე. შმიდტის „ვოტუმმა“ და თ. ნ. პ. მხეიძის „ლანდშავტმა“. დასასრულს საერო დოღი იქმნა გამართული.

*** 28 აპრილს, დილის $10^1/_2$ საათზე, ოლგას ქუჩისა და „კალიუბი“ ხევის კუთხეში უცებ გარდაიცვალა ვიღაც 70 წ. მოხუცებული, რომლის ვინაობაც არ იციან, რადგან პატრონი არავინ გამოუჩნდა. მიცვალებულის გვამი საანატომიო ნაწილში გაჰგზავნეს.

*** 28 აპრილს, „კალიუბი“ ხევში გოგოროვის სახლებში, ამ სახლის მდგმურმა ანტონინა ვასილის ასულმა სოიკამ განიზრახა თავის მოკვლა და ჭუჭყის ამოსაყვანი წამალი (ვივოდკა) დალია, დროზედ მიუსწრეს და მიხეილის სააავადმყოფოში გაჰგზავნეს. როგორც ამბობენ, სოიკას სასიკვდილო არა სჭირს-რაო.

## ქალაქის საბჭო

28 აპრილი

ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკმა იმ კამისიის მოხსენება წაიკითხა, რომელიც 24 მაისს 96 წ. საბჭოს მიერ არჩეულ იქმნა, რათა გეურქ არუთინოვის საწყობში ტრიხინიან ღორის ლორის აღმოჩენისა გამო საქმე გამოიძიოს. როგორც მოხსენებიდგანა სჩანს, კამისიას შემდეგი აღმოუჩენია:

1) მომეტებულ ნაწილად ტრიხინა იმ ღორებს აჩნდებათ, რომელნიც საყასბოს მახლობლად საზრდოობენ. ასეთი ღორები 50—60% არიან ტრიხინიანი, მაშინ როდესაც მორეკილ ღორებში შედარებით ძლიერ ცოტაა ტრიხინიიანი, ასე 2—3%. საყასბოსთან, გარდა გეურქ არუთინოვისა, თათევოს მანთაშევისა და დათება კაპაჯაშვილის ღორებიც საზრდოობდნენ. ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო დაწესებულების ანგარიშში, 1894 წ. მკურნალ სტეფანოვის მიერ შედგენილში, მოხსენებული არ არის, რომ ამ ადგილას ღორები საზრდოობენ და ეს მავნებელიაო.

2) დაკლულ ღორებს, რომელთაც ტრიხინა აღმოაჩნდებოდა, მაშინვე კი არ სპობდნენ, არამედ ინახავდნენ. საყასბოს მსახურმა ტერ-სიმონიანცმა განაცხადა (13 მარტს 96 წ.), რომ საყასბოს გამგე ბეითალის ისპანდიაროვის ბრძანებით, ტრიხინიანი სამი ღორი მანთაშევს მივეცი და ერთიც არუთინოვსაო, და არ ვიცი, როგორ მოიხმარეს ან ერთმა და ან მეორემ იგიო. 16 მარტს იმავე ტერ სიმონიანცმა სთქვა პირველად, რომ 31 იანვარს დახოცილი 8 ღორი, ისპანდიაროვის ბრძანებით, არუთინოვს გარდავეცი ტყავისა და ქონის ასაცლელად და უკან აღარ დაუბრუნებიაო; მეორედა სთქვა, რომ არუთინოვს მე თითონ მივეცი 8 ღორი, და გატყავებულები აღარ გამომირთმევიაო.

საქმის გამოძიების შემდეგ კომისიას შემდეგი აზრი გამოუთქვამს:

1) საყასბოს გამგე ბეითალი ისპანდიაროვის შესახებ—რადგან საყასბოსთან ღორები საზრდოობდნენ და ტრიხინა უჩნდებოდათ; რადგან ტრიხინიანი ღორის ხორცი მაშინვე არ ისპობოდა და მსახურს ტერ-სიმონიანცს ადვილად შეეძლო პატრონებისათვის დაებრუნებინა იგი და ეს გარემოება შეუმჩნეველი დარჩებოდა, გუბერნიის ექიმს ბ-ნ ქიქოძეს, რომ არ აღმოეჩინა არუთინოვის საწყობში ტრიხინიანი ლორები,—ყველა ეს უყურადღებობანი ისპანდიაროვს უნდა დაჰბრალდეს. მაგრამ ეს უყურადღებობა ბ-ნ ინსპანდიაროვს განგებ-კი არ ჩაუდენია, არამედ უგულ-მოდგინებით მოსვლია და აგრეთვე იმის გამოც, რომ საყასბო რიგისამებრ არ არის მოწყობილი, ერთობ საძნელო მოვალეობა აწევს კისერზედ და, გარდა ამისა, იმასა მისს თანაშემწე დედაბრიშვილის შორის შრომა განაწილებული არ იყო. ზემო აღნიშნულ უყურადღებობისა და უგულს-მოდგინებისათვის ისპანდიაროვი სასტიკის საყვედურის ღირსია, მაგრამ მისის სიკვდილისა გამო მას შესახებს საქმე უნდ მოისპოს.

2) შიო დედაბრიშვილის შესახებ—ის მონაწილეობას არ იღებდა ტრიხინიან ღორის ხორცის მოსპობის საქმეში; ამ საქმეს განაგებდა მარტო ისპანდიაროვი, როგორც თითონვე აღიარა. მაგრამ კამისია დედაბრიშვილს იმასა სდებს ბრალად, რომ ის რაკი საყასბოს გამგეს თანაშემწე იყო და ჰხედავდა, რომ საყასბოსთან ნასაზრდოებ ღორებს აჩნდებოდათ უფრო ტრიხინა, ამ საგნის შესახებ ლაპარაკი არ აღძრა და არავითარი ღონისძიება არ იხმარა ასეთ მოვლენის ასაცილებლად. გასამართლებელ საბუთად დედაბრიშვილს ის არ ჩაეთვლება, რომ მისი მოვალეობა განსაზღვრული არა ყოფილა: სასანიტარო-სამკურნალოს ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა სტეფანოვმა ამ თანამდებობაზედ დანიშვნისათანავე გამოუცხადა მის ,რომ შენ (დედაბრიშვილმა) საყასბოს გამგეს ყოველ გვარი ადმინისტრატიული განკარგულება უთუოდ უნდა აღასრულოო. კამისია დედაბრიშვილის საქციელშიაც უგულს-მოდგინებას ჰხედავს, რისთვისაც იგი საყვედურის ღირსია, მაგრამ ასეთის საყვედურისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნას 15 მაისის 1896 წ. გამოსულ ყოვლად მოწყალე მანიფესტის მადლითა.

3) სასანიტარო სამკურნალოს ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლის ბ-ნ სტეფანოვის შესახებ: ბ-ნ სტეფანოვს ამ საქმეში ბრალი არ უნდა დაედოს. სტეფანოვს ისეც აუარებელი საქმე აქვს გასაკეთებელი და იმისათვის დრო და მოცალება სადღა ექნებოდა, რომ ყური უგდოს,—საყასბოდგან ტრიხინიანი ღორის ხორცი არავინ გაიტანოსო. ამასთანავე მან რამდენჯერმე მოახსენა გამგეობას, რომ საყასბო რიგისამებრ არ არის მოწყობილიო, მაგრამ მისი მოხსენება მუდამ უყურადღებოდ რჩებოდა. სტეფანოვს ის-კი უნდა დაჰბრალდეს, რომ ის ძალიან მიჰნდობია საყასბოს გამგე ისპანდიაროვს, და კიდეც ასეთი ნდობაა მიზეზი, რომ მისთვის ინსტრუქცია არ მიუცია სახელმძღვანელოდ. ამიტომ ბ-ნ სტეფანოვს უნდა დაევალოს, რომ ამის შემდეგ საყასბოს გამგეს სახელმძღვანელო ინსტრუქცია მისცეს და საზოგადოდ საყასბოს წეს-რიგს მეტი ყურადღება მიაქციოს.

კამისიის თავმჯდომარის ბ-ნ ევანგულოვის ცალკე აზრი ბ-ნ სტეფანოვის შესახებ: საყასბოს ბეითლებს სტეფანოვისაგან საჭირო ინსტრუქცია არა ჰქონიათ და ტრიხინიანი ღორები მაშინვე-კი არ ისპობოდა, ინახებოდა თურმე. სტეფანოვი თავისს ანგარიშებში-კი ამბობდა, რომ ტრიხინიანი ღორის ხორცი ისპობაო. მაგრამ ნამდვილად ეს თურმე ასე არ ყოფილა. სტეფანოვმა თითონ ნამდვილად არ იცოდა, საყასბოში რა ხდებოდა, არამედ თავისს ნათქვამს ისპანდიაროვის ცნობებზედ ამყარებდა. გარდა ამისა, საყასბოსთან ღორები საზრდოობდნენ და ამის გამო ტრიხინა უჩნდებოდათ, მაგრამ სტეფანოვს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ასე რომ ეს გარემოება ქალაქის თვით-მართველობისათვის დაფარული იყოვ.

კამისიის წევრის თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკის ცალკე აზრი შიო დედაბრიშვილის შესახებ:

დედაბრიშვილს ის ბრალი-კი არ უნდა დაედოს, რომ ღონისძიება არ იხმარა—საყასბოსთან ღორები არ ესაზრდოებინათ, არამედ ისა, რომ იმას, როგორც საყასბოს გამგეს თანაშემწეს, თვალ-ყური არ დაუჭერია, რათა მოსასპობლად შენახულ ღორებისთვის ისპანდიაროვის საყასბოში არ ყოფნის დროს ხელი არავის ეხლო.

აი ეს არის მოკლედ შინაარსი კამისიის მოხსენებისა, რომელზედაც ხელი უწერიათ ბ-ნ ევანგულოვს, როგორც კამისიის თავმჯდომარეს, ბ-ნთ ბაბოვსა, ლუნკევიჩსა და თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკს.

რამდენისამე ხმოსნის თხოვნით ბ-ნ სტეფანოვის მოხსენებაც იქმნა წაკითხული ამავე საგნის შესახებ და ქალაქის გამგეობისაც.

ხმ. ევანგულოვი. საქმე გვიჩვენებს, რომ მომეტებულ ნაწილად ტრიხინა იმ ღორებს აჩნდებოდათ, რომელნიც საყასბოსთან საზრდოობდნენ გადაყრილის შიგნეულობით. ასეთ ღორებში ტრიხინიანი 50—60% გამოდიოდა, მაშინ როდესაც სხვაგნიდგან მორეკილებში მხოლოდ 2—3%. მაგრამ ასეთი მოვლენის წინაალმდეგ არავის არავითარი ღონისძიება არ უხმარია და დღესაც არავინ არასა ჰფიქრობს ამ საქმის შესახებ. მაგალითად, კუკიის ხიდის მახლობლად დღესაც ასაზრდოებენ ღორებს ნაყარ-ნუყარ სანოვაგით.

ხმ. თამამშევი. დოქტორი სტეფანოვი იმისას არაფერს არ გვეუბნება, რომ საყასბოში თვალ-ყური არავისა სჭერია. იგი საყასბოს უვარგისობის ამბავს მოგვითხრობს. ეს ჩვენ უიმისოდაც კარგად ვიცით.

ხმ. ოპოჩინინი. საიდგან მოიპოვა არუთინოვმა ტრიხინიანის ღორის ხორცი? ვინ არის ამ საქმეში დამნაშავე? რა მიზეზია, რომ საყასბოს საქმეები ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული? აი საგანი, რომელსაც უნდა ჩაჰკვირვებოდნენ და კარგად გამოერკვიათ. გამგეობასაცა და კამისიასაც ამ საგნისათვის უნდა მიექციათ ყურადღება და ნამდვილი დამნაშავე აღმოეჩინათ, მაგრამ ყოველისავე ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია და საქმე ისევ გამოურკვეველია.

ხმ. თავ. ნ. ე. არღუთ.-დოლგორუკი. მე, როგორც კამისიის წევრმა, დედაბრიშვილის შესახებ ცალკე აზრი გამოვთქვი და აი რატომ: მართალია, დედაბრიშვილს ტრიხინიანის ღორის ხორცის მოსპობა არ ეკითხებოდა; ისპანდიაროვმა იგი ამ საქმეს ჩამოაშორა; მაგრამ იმას, როგორც საყასბოს გამგეს თანაშემწეს, საყასბოს ყოველივე საქმე უნდა ჰქონოდა შესწავლილი, რათა ისპანდიაროვის საყასბოში არ ყოფნის დროს ყველაფრისათვის თვალ-

---

სიფიკაციებს ადარებენ დიდრონ ველებს, რომელნიც გაყოფილნი-კი არ არიან, არამედ აქა-იქ ამართულია ბაირაღები, რომლების გარშემო თავისუფლად გროვდება ხალხი, მხოლოდ შეკრებილი ჯგუფები, ზოგან მრავალნი, ზოგან მცირედნი არიან. ზევრჯელ, რასაკვირველია, იპოვებიან ისეთნიც, რომლებზედაც ვერ იტყვის ადამიანი, რომელ ბაირაღს უფრო ეკუთვნიან. იმასაც ვერ ვიტყვით ხოლმე, რომელ გვარს ეკუთვნის რომელიმე ცხოველი, ანუ მცენარე, რადგან ბევრი მსგავსი თვისებანი აქვს.

რა ნაირად და რა პროცესით წარმოიშობნენ ბუნებაში ეს ოჯახნი, გვარნი, ჯიშნი? ჯიში რა ნაირად გარდაიქცა გვარად? აი კითხვები, რომელზედაც მოგვცა პასუხი დარვინმა. ზემოდ მოხსენებული კანონები: ცხოვრების გავლენა, ჩამომავლობითი გარდაცემა, ორგანოების ერთმანეთთან დამოკიდებულება, შეცვლა ორგანოებისა სხვა-და-სხვა ნაირი ხმარებისაგან და შერთვა, რომელთა ძალით ადამიანმა შესცვალა სხეული გაშინაურებულის ცხოველებისა, არსებობენ და მოჰქმედობენ ბუნებაში ადამიანის დაუკითხავად, მის უნებლიედ და უფრო ხანგრძლივად, რადგან შეუდარებელია ადამიანის მოკლე სიცოცხლე გრძელ გეოლოგიურ ხანასთან, სადაც დრო მილიონ წლობით ითვლება. გვრჩება მხოლოდ ორი პროცესი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ადამიანი, როდესაც სხვა-და-სხვა გვარად გაშინაურებულ ცხოველებსა და მცენარეებს სცვლიდა: პირველი, თვით-ნებითი შერჩევა მისთვის სასარგებლო ორგანიზმებისა და მეორე, მოსპობა მისთვის უვარგისებისა. ამ ორ პროცესის მაგივრად, რომლებითაც ხელ-მძღვანელობდა ადამიანი, დარვინმა აღმოაჩინა ბუნებაში ორი კანონი: პირველი, ბრძოლა ორგანიზმთა შორის არსებობისათვის, და მეორე, „ბუნებრივი შერჩევა“, რომელთა ძალით ისპობა უვარგისი ცხოველი ანუ მცენარე და რჩება მძლავრი, ანუ ისეთი, რომელიც უფრო კარგად შეეწყობა ბუნების მოვლენებს და თვით ცხოვრებასაც. გადავავლოთ თვალი ამ ორ კანონსაც.

„ბრძოლა არსებობისთვის“ ამ სიტყვას დარვინი ძლიერ ფართო მნიშვნელობას აძლევს. აქ ბრძოლა არა ჰნიშნავს მარტო შეტაკებას ერთ გვარ ორგანიზმთა შორის, არამედ ბრძოლას სიცოცხლის განსაგრძობად თვით ბუნებასთანაც, ბრძოლას ჩამომავლობის გამრავლებისთვის, დამოკიდებულებას ერთის ორგანიზმისას მეორისაგან, ბრძოლას საჭმლისათვის, ბრძოლას ორგანიზმთა შორის დედლების მოპოვებისათვის და სხვანი...

ბრძოლა არსებობისათვის არის შედეგი იმ კანონისა, რომლის ძალითაც ყოველი ორგანიზმი მრავლდება გეომეტრიულ პროგრესით, ე. ი. რიცხვი ყოველი ჩამომავლობისა ერთი ორად იქცევა, მისის წინაპარის რიცხვთან შედარებით. ეს კანონი წარმოთქმული იყო მალტუსის მიერ საზოგადოების შესახებ, დარვინმა-კი გაავრცელა იგი მთელს ბუნებაზედ, როგორც მცენარეებს, ისე ცხოველებზედ და უჩვენა მისი სიძლიერე, რადგან ამ შემთხვევაში არც საჭმლის გამრავლება შეიძლება, არც თავის დაჭერა ცოლ-ქმრობისაგან. ამ კანონის დასამტკიცებლად დარვინმა გამოიანგარიშა, რომ ერთის წყვილის სპილოსაგან, რომელიც ოც თვეს არის ორსულად და ყველაზედ ძნელად მრავლდება, 750 წელიწადში გაჩნდებოდა 19 მილიონი სპილო. ბუნებაში-კი, როგორც ჩვენ ვიცით, ერთი და ორი წყვილი-კი არა არსებობს, არამედ ათი და ათი ათასია, თითოეული ამათგანი გააჩენს 19 მილლიონს, ამ ახლად გაჩენილ სპილოთა შორის შეიქმნება ბრძოლა არსებობისთვის, როგორც ბუნებასთან, ისე თვის შორის, და ვინც უფრო მძლავრი იქნება, ის დარჩება ცოცხალი დედა-მიწის ზურგზედ, უძლურნი-კი დაიხოცებიან. თვით ადამიანიც 25 წელიწადში აორკეცებს თავის ჩამომავლობას, ასე რომ 1,000 წლის შემდეგ, თუ არ სიკვდილი, ჩამომავლობა ისე გამრავლდებოდა, რომ დედა-მიწის ზურგზედ ერთის ფეხის დასადგმელი აღარ დარჩებოდა ახლად გაჩენილ ადამიანისათვის. ყველა ამ თეორიულ გამოკვლევაზედ უფრო თვალ-საჩინოდ გვიჩვენებს ამ კანონის სიძლიერეს შემოტანილ მცენარეების გავრცელება, როდესაც ისინი სჯობნიან ალაგობრივ მცხოვრებ მცენარეებს. მართლაც, ლაპლატაში შემოტანილი იყო ევროპიელებისაგან ისპანიური სვია, რომელიც უფრო კარგად შეეწყო იქაურს ჰავას, ნიადაგს და განდევნა ყველა ალაგობრივი მცენარეები, ასე რომ რამდენისამე ას ვერსზედ მარტო ამ სვიას შეხვდებით, სხვა მცენარეებიკი მოსპობილნი არიან. შინაურ ცხოველებში იგივ ხდება: ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ, რამდენი ხარი, ძროხა და ცხვარი იკვლება, რამდენი ცხენი იკოდება, რამდენს კატის კნუტსა და ძაღლის ლეკვსა ჰყრიან, რასაკვირველია, ყველანი რომ დაეტოვებინათ და ნება მიეცათ თავისუფლად გამრავლებულიყვნენ, ეხლა დედა-მიწაზედ ადგილი აღარ იქნებოდა მათ დასატევად.

ბევრი მიზეზია, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ორგანოების გამრავლებას და რომლებთანაც ბრძოლა უნდა გასწიონ, როგორც ცხოველებმა, ისე მცენარეებმა, თუ ჰსურთ ხანგრძლივი სიცოცხლე. პირველი ამ მიზეზთაგანი, რომელიც მრავალ ორგანიზმს სპობს, არის ჰავა ანუ ჰაერი. ყველაზედ ძლიერი გავლენა აქვს ჰავას ახალგაზდა ცხოველებსა, ნორჩს მცენარეებსა, კვერცხებსა და ბარტყებზედ. ვინც ამათგანი ძლიერია, ის უფრო უმკლავდება ჰავას, რჩება გამარჯვებული და იწყებს გამრავლებას

ყური ედევნებინა. რადგან ასე არ მოიქცა, რაოდენიმე დანაშაული იმასაც მიუძღვის.

გამგეობის წევრი ბ-ნა ხოსროევი. მე ბატონს ოპოჩინინს ვეთანხმები: დამნაშავეა გეურქ არუთინოვი, რომელსაც ტრიხინიანი ღორები უპოვნეს, მაგრამ არუთინოვთან ერთად ისიც დამნაშავეა, რომელიც არუთინოვს ამ საქმეში ხელს უწყობდა, რომელიც არუთინოვს ტრიხინიან ღორის ხორცს აძლევდა. პირველად ამ საქმის გამოძიება მე მომანდეს, მაგრამ მაშინვე აქა-იქ ლაპარაკი დაიწყეს, რომ არუთინოვი ნამალევად ჰხოცავდა ღორებს, ამ რიგად დახოცილის ღორის ხორცი სამიკროსკოპო სადგურში არ ისინჯებოდა და რაღა საკვირალია, რომ იმას ტრიხინიანი ღორი ამოსჩენოდაო. ხოლო რადგან პირუტყვთა დახოცვის ყურის გდება მე მაქვს მონდობილი, ამისთვის უხერხულად ჩავთვალე ისეთის საქმის გამოძიება, რომელიც, ასე თუ ისე, მეც შემეხებოდა, და გამომძიებლობაზედ უარი გავაცხადე. ამის შემდეგ საქმის გამოძიება ბ-ნ ივანენკოს მიენდო და შემდეგ განსაკუთრებულს კომისიას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვერც ერთსა და ვერც მეორეს ის ვერ გაუკეთებია, რაც გასაკეთებელი იყო, ე. ი. ნამდვილ დამნაშავისათვის ვერ მიუგნიათ.

ხმ. ა. ს. ბაზოვი. მე არ ვეთანხმები თავ. ნ. ე. არღუთ.-დოლგორუკს, რომელიც ბ-ნ დედაბრიშვილსა სდებს ბრალსა. ვერც იმას ვიტყვი, რომ აწ განსვენებული ისპანდიაროვი და ან დოქტორი სტეფანოვი იყვნენ დამნაშავე ამ საქმეში. ერთსაც და მეორესაც აუარებელი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი; გარდა ამისა, ერთსაცა და მეორესაც არა ერთხელ მოუხსენებიათ გამგეობასათვის საყასბოს უვარგისობის ამბავი. მე თითონ ჩემის თვალით ვნახე, როგორ იყო გამონგრეული იმ შენობის კედლები, სადაც მოუსპობელი ტრიხინაანი ღორები ინახებოდა. იქიდგან ყველას ადვილად შეეძლო ყველაფრის მოპარვა — არუთინოვსაც, ტერ-სიმონიანცსაც და სხვებსაც. საყასბოს განკარგებისათვის გამგეობას უნდა ეზრუნა, მით უფრო, რომ ამ საგნის შესახებ არა ერთხელ წარმოუდგენია მისთვის მოხსენება ექიმ სტეფანოვს. მაგრამ რადგან გამგეობამ ამ საქმისთვის არ იზრუნა, რადგან ამის შესახებ საბჭოს არაფერი გააგებინა, მხოლოდ იგია პასუხისმგებელი და სხვა არავინ, და ამ სხვათა შორის, არც ქალაქის საბჭო.

ხმ. კართანოვი. არუთინოვის თანაზიარის პოვნა — საქმის ფორმალური მხარეა. უნდა გამოირკვეს — საყასბოში ნამდვილი ყურის-მგდებელი იყო ვინმე, თუ არა. რომ ასეთი ყურის-მგდებელი არავინ ყოფილა და ამასთანავე ტრიხინიანი ღორის ხორცი რომ დაუწვავი რჩებოდა, ეს ცხადი საქმეა. ამისათვის საბჭომ უნდა აღიაროს, რომ ამ საქმეში დამნაშავენი არიან გამგეობა და სასანიტარო-სამკურნალო დაწესებულება.

ხმ. ოპოჩინინი. ჩვენ ვითხოვეთ — ეს საქმე გამოგვეძიებინათ. გამოძიება ვერ გამოარკვია სახელდობრივად ვინ არის დამნაშავე. ტრიხინიანი ღორის ხორცი, იმის ნაცვლად, რომ მაშინვე დაეწვათ, ინახებოდა. რომ ვისმე ეცნობებინა, რომ ღონისძიება არა გვაქვს, ყველა ტრიხინიანი ღორის ხორცი მაშინვე დავწვათ და ამის გამო ვინახავთო, გამგეობა იღონებდა.რასმეს როგორც აღმოჩნდა, საყასბოდგან მარტო არუთინოვს მიჰქონდა ტრიხინიანი ღორის ხორცი; შესაძლებელი რომ ყოფილიყო მათი დაუბრკოლებელიც წაღება, სხვებიც წაიღებდნენ. მაგრამ რადგან სხვას არავის აღმოსჩენია, ცხადიაა, თავის თავად ვერავინ წაიღებდა, და თუ არუთინოვმა წაიღო, იმას სხვა უწყობდა ხელს. აი, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა აღმოგეჩინათ! ეს ვერ მოახერხეთ და ამის ნაცვლად-კი გვეუბნებით, რომ ერთიც დამნაშავეა, მეორეც და მესამეცაო. როცა რაიმე დანაშაული სამს კაცს ჰბრალდება, მაგრამ გამორკვეული-კი არ არის, რომელი იმათგანია დამნაშავე, კანონი სამივეს ანთავისუფლებს. ჩვენც ამ წესით უნდა მოვიქცეთ ამ საქმეში: თუმცა ბოროტ-მოქმედებას აშკარადა ვხედავთ, მაგრამ არა ვიცით-რა, ვინ არის სახელდობრ დამნაშავე, საქმე უნდა მოვსპოთ ისე, რომ ბრალი არავის არ ედებოდეს. ოქმიც ამ აზრის თანახმად უნდა შესდგეს.

ხმ. თამამშევი. გამგეობამ იცოდა, თუ არა, რომ ტრიხინიანი ღორის ხორცი ფარდულში ინახებოდა.

ბ-ნი ივანენკო. იცოდა, მაგრამ ამასთანავე ისიც იცოდა, რომ ფარდული დაკეტილი იყო.

ხმ. თამამშევი. მაშ, რადგან გამგეობას ღონისძიებანი არა უხმარია-რა, რათა ტრიხინიანი ღორის ხორცი მაშინვე მოსპობილიყო, და ისე ინახავდა, ამით იმას ტრიხინის გავრცელებისათვის ხელი შეუწყვია.

ბ-ნი ხოსროევი. ხმოსანს ოპოჩინინს ვეთანხმები, რომ არუთინოვის თანაზიარი უნდა გვეპოვნა, მაგრამ რადგან ეს არ მოხერხდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ყველანი დამნაშავენი ვართ — გამგეობაცა და საბჭოც.

ხმ. შაჰ-აზიზოვი. საბჭო არაფერში არ არის დამნაშავე; იმან არაფერი არ იცოდა. დამნაშავენი არიან გამგეობა და სასანიტარო-სამკურნალო საბჭო.

ხმ. ოპოჩინინი. თუ ამორჩეული კაცები არ ვარგანან და თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ, ამომრჩევლებიც დამნაშავენი არიან.

დასასრულ საბჭომ დაადგინა: აშკარაა, მიზეზი არუთინოვის ხელში ტრიხინიან ღორის ხორცის ჩავარდნისა ის არის, რომ მოსასპობელ ტრიხინიან ღორის ხორცისათვის საკმაოდ და სავსებით არ უდევნებიათ თვალ-ყური, ხოლო ისპანდიაროვის სიკვდილისა და პირდა-პირის დამნაშავეთა აღმოუჩენლობისა გამო ეს საქმე მოისპოსო.

---

# უცხოეთი

## საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.

თანდათან დაწვრილებითი ცნობები მოდის ბრძოლის ველიდგან. გაზ. „Times“-ის კორესპონდენტი აი რასა სწერს ოსმალეთის მხედრობის მიერ ლარისის აღების შესახებ: როცა ოსმალეთის ცხენოსანი ჯარი და არტილერია ლარისას მიუახლოვდნენ, ზარბაზნების სროლა ასტეხეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, ამ ქალაქში კიდევ დარჩა საბერძნეთის ჯარის რამდენიმე ნაწილი, თუ არაო. ქალაქიდგან რა-კი პასუხი არავინ გასცათ, ორმა ესკადრონმა ქალაქისაკენ წაიწია, ხოლო მესამე — არტილერიასთან დარჩა, რომელიც ისევ ყუმბარებს ისროდაო. ქალაქში იქა-აქ თოფის ხმა ისმოდა; თოფს ტუსაღად ნამყოფი ბერძნები ისროდნენ, რომელნიც სატუსაღოდგან გაშვებულ იქმნენ სწორედ იმ დროს, როცა ბერძნის ჯარმა ქალაქი დასცალა და გაიქცაო. ცხენოსანი ჯარი, ზეიფულბეგისა და გრუმბკოვ-ფაშის უფროსობით, თანდათან წინ მიიწევდაო. როცა ჯარი ხიდს მიუახლოვდა, რამდენიმე მაჰმადიანმა დაიყვირა: „ფრთხილად, ხიდ ქვეშ ნაღმია ჩაწყობილიო“. მაგრამ ორმა აფიცერმა სისწრაფით გააქენა ცხენები ხიდზედ და პირველად შევიდნენ ქალაქშიო. იმათ ჯარიც კვალ-და-კვალ გაჰყვა ისე, რომ ერთიც არ შეჩერებულაო.

— ფარსალა და ველესტინო ოსმალებმა დაიპყრეს, მაგრამ ზარალიკი დიდი მოსვლიათ. პოლკოვნიკი სმოლენიცი მამაცურად შეებრძოლა მტერს. კარანტასის სერზე ოსმალეთის ერთი რაზმი თითქმის სულ ერთიანად მოუსპიათ ბერძნებს. საბერძნეთის მხრივ ერთობ მამაცურად იბრძოდნენ თურმე ევზონები, რომელთაც თავისუფალი მეომარნიც ჰშველოდნენ.

— საბერძნეთის ახალ სამინისტროს, როგორც გაზეთები იუწყებიან, კიდევ ჰსურს თურმე ომის განგრძობა და ამ საქმეს ერთობ გულ მოდგინეთ ეკიდება. იმის პროგრამას შეადგენს — ერი გაამხნეოს, რათა მტერს მედგრად დაუხვდეს და, როცა საჭირო იქმნება, ამ უკანასკნელს თავსაც დაესხას და ბოლოს, სამინისტროს ზავის ჩამოგდებას იმ პირობით დასთანხმდება, რომ იმან (ზავმა) საბერძნეთის დიდება და სახელი არ შეჰლახოს. სამინისტროს აზრად აქვს, ჯარში ცვლილებანი შემოიღოს და გააძლიეროს იგი, რისთვისაც რამოდენიმე ათას სათადარიგო ჯარისკაცთ და თავის ნებით მოსურნეთ ჩარიცხავს მხედრობაში, ამასთანავე სამინისტროს არა ჰსურს რომ მისს საქმეებში მეფე ანუ სხვა ვინმე ერიოდეს.

— ვენიდგან იუწყებიან, რომ 16 აპრილს საბერძნეთის ფლოტმა პრევეზას ისევ დაუშინა ზარბაზნები, მაგრამ ქალაქი მაინც ვერ დაიმორჩილესო.

— ამბრაციის ყურეში მყოფ ფლოტსაც დაუშენია ზარბაზნები ნიკოპოლისისა და წმ. პეტრეს ნაპირებისათვის, საიდგანაც ოსმალები გაქცეულან.

— მენოტი გარიბალდი, რომელიც თავისუფალ მოსურნეთა ჯარს ჰკრებს საბერძნეთის საშველად, იმ აზრისაა, რომ ბერძნები ისე უნდა ეომნენ ოსმალებს, როგორც საფრანგეთი ეომებოდა გერმანიის ჯარს 1870—71 წ. იგი ამბობს, რომ საქმის შველა სრულიაც საძნელო არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათო. გარიბალდის აზრით, თესალიაში საბერძნეთი მხოლოდ თავისის დაცვით უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ეპირში-კი მტერს თავს უნდა ესხმოდესო. თესალიაში თითოეულ ფეხის ნაბიჯს ძვირად დაუსვამდი ოსმალებსაო, ამბობს მენოტი გარიბალდი; იქ (თესალიაში) მიწის სიმაგრეებს გავაკეთებდი, რომელთაც, როცა საჭირო აღარ იქნებოდა, მაშინვე დავანგრევდიო. ამ წესით მტერს ძლიერ გაუჭირვებდი საქმესაო. ჯარისა და ზარბაზნების ციხეებში შეფარება დიდი შეცდომა არისო. ერთი კაციც არ უნდა მოსცდეს იმ ადგილის დასაცველად, რომელსაც მტერი ჯერ არ მისდგომიაო. ჯარს მოძრაობა უნდა ეტყობოდეს; იგი ფრინველს უნდა მიაგავდეს და ერთის ადგილიდგან მეორეში მოულოდნელის სისწრაფით უნდა გადიოდ-გამოდიოდესო.

---

დარვინმა გამოიანგარიშა, რომ 1854—1855 წლის ზამთარმა დაჰხოცა ოთხი მეხუთედი მთელის ფრინველებისა, რაც მას ჰყავდა, მაშასადამე ჰავა უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე ჭირი, რომლის დროსაც საზოგადოდ იხოცება 10%. მაგალითად, შავის-ჭირისა და ხოლერის დროს. როდესაც ჩვენ ვმოგზაურობთ სამხრეთიდგან ჩრდილოეთისაკენ, ამბობს დარვინი, მაშინ ადვილად შევამჩნევთ, რომ ცხოველები და მცენარეები ჰავის გავლენის ქვეშ ძლიერ იცვლებიან, სამხრეთის ორგანიზმები თანდათან ისპობიან და მათ მაგიერ გვხვდება წინ ჩრდილოეთის ჰაერთან შეჩვეული და შეწყობილი ორგანიზმები.

მეორე იმ მიზეზთაგანი, რომელსაც ორგანიზმებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის დროს, არის საჭმლის სიმრავლე. ორგანიზმებში ვინც უფრო ბევრს საჭმელს იშოვის, ის უფრო ადვილად შეებრძვის ცუდს გარემოებას, უფრო ადვილად გადარჩება სიკვდილს და უფრო მძლავრ და მაგარ მოდგმას დასტოვებს. თვით საკვებს იმდენად არა აქვს გავლენა ორგანიზმის სიკვდილსიცოცხლეზედ, რამდენადაც იმ გარემოებას, რომლის ძალითაც ცხოველი ანუ მცენარე შეიქმნება ხოლმე საჭმელად სხვა ცხოველისა. მაგალითად, მწყერი უფრო გამრავლდებოდა, რომ არა ყოფილიყვნენ ადამიანი, ქორი, მიმინო და შევარდენი, რომელნიც მწყერს ჰხმარობენ საჭმელად. ინგლისში რომ შეიძლებოდეს მოსპობა ნადირობისა 20 წლის ვადითაო, ამბობს დარვინი, მაშინ რიცხვი გარეულ საჭმელ ფრინველებისა ბევრად აღემატებოდა, რიცხვი-კი მტაცებელ ფრინველებისა იკლებდაო.

არსებობისთვის ბრძოლის დროს საკვებზედ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმ რთულ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ორგანიზმთა შორის. წითელი იონჯა (Trifolium pratense) არა მრავლდება, თუ არ მიუშვეს მასთან კრაზანები, რომლებიც სწოვენ მის ყვავილებიდგან ტკბილს წვენს და ამ წოვის დროს გადააქვთ პატარა მარცვლები მამალ ყვავილებიდგან დედალ ყვავილებზედ, რის გამოც ჩნდება იონჯის ნაყოფიერი თესლი. კრაზანების სიმრავლე დამოკიდებულია მინდვრის თაგვებისაგან, რომელნიც, როგორც ამბობს ნეიმანი, ანგრევენ კრაზანების ბუდეებს; ამ გვარად ინგლისში მოისპო ორი მესამედი კრაზანებისა; თაგვის სიმრავლე კი, როგორც ყველამ იცის, დამოკიდებულია კატების სიმრავლეზედ, რადგან ისინი ძლიერ ემტერებიან თაგვებს. სოფლების ახლოს, სადაც იყვნენ კატები, ამბობს ნეიმანი, ყოველთვის მეტს კრაზანების ბუდეებს ვპოულობდი, ვიდრე მინდვრებში, რადგან სოფელში კრაზანების მტრები, თაგვები, კატებისაგან განადგურებულნი იყვნენ. მაშასადამე, კატების სიმრავლე რომელსამე მაზრაში გვიჩვენებს თაგვების სიმცირეს, კრაზანებისა და იონჯის სიმრავლეს. აი ამისთანა რთული დამოკიდულება არსებობს ორგანიზმთა შორის.

პარაგვაიში, ამბობენ აზარი და რენგერი, არც ცხენი, არც ძროხა, არც ძაღლი არა მრავლდება, რადგან იქ სცხოვრობს ერთგვარი ბუზი, რომელიც, დაიბადება თუ არა ამ ცხოველების შვილი, მაშინვე იმისს ჭიპში სდებს კვერცხებს და ამითი უსპობს სიცოცხლეს. ამ შესანიშნავ ბუზსაც ჰყავს მტერი — ეს არის ერთგვარი მწერივე, რომელიც მოიპოვება მხოლოდ პარაგვაიში, მაგრამ ამ მწერებს სჭამენ ფრინველები, რის გამოც ძლიერ მრავლდება ცხენებისათვის მავნებელი ბუზი. ვთქვათ, შემცირდა რიცხვი ფრინველებისა, რომელნიც ჰხოცვენ ბუზის მჭამელ მწერებს, მაშინ უსათუოდ გამრავლდებიან ბუზის მჭამელი მწერები და მოისპობიან ბუზები, ამას მოჰყვება ცხენისა და ძაღლის გამრავლება პარაგვაიში. უფრო ძლიერი ბრძოლა მძვინვარებს არსებობისთვის მცენარეთა შორის. ზემო იმერეთს, შორაპნის მაზრაში, ყოველს ყანაში პურთან ერთად შეგხვდებათ ღვარძლი და გვარგვალა. ამ სამ მცენარეს შორის საშინელი ბრძოლა ტრიალებს, ერთი სცდილობს მოსპოს მეორე და მცხოვრებლები რომ არ არჩევდნენ ღვარძლისა და გვარგვალისაგან სათესლე ხორბალს, გვარგვალა და ღვარძლი უსათუოდ სძლევდნენ ხორბალს.

ჩამომავლობის გამრავლება არის ერთი იარაღთაგანი, რომლითაც სარგებლობს ორგანიზმი ბრძოლის დროს სხვა ორგანიზმებთან. რაც უფრო ბევრს ჩამომავლობას დასტოვებს რომელიმე ცხოველი, მით უფრო მისი არსებობა ხანგრძლივი იქმნება. ჩვენ ვგონებთ, რომ ერთი მიზეზთაგანი ებრაელ ერის ასეთი დიდის ხნის სიცოცხლისა სხვა ერთა შორის, მისი გამრავლებაა. მართლაც, ებრაელი შევა თუ არა ასაკობაში, მაშინვე იწყებს ცოლქმრულს ცხოვრებას და ამით სტოვებს მრავალ ჩამომავლობას. ცხოველების და მცენარეების სამეფოს წარსულს რომ დავუკვირდეთ, ვნახავთ, რა საშინელი ბრძოლა უნდა გამოევლოთ მათ მრავალ საუკუნის განმომავლობაში: ერთი მოდგმის ხე ებრძვის მეორესას, ამათ ორივეს რომელიმე მწერი, ამ უკანასკნელს ფრინველი, ფრინველი ხდება მსხვერპლად ცხოველისა და ასე და ამ გვარად მათ შორის გატარებულია შეუწყვეტელი ძაფი, რომელსაც ჰქვიან ბრძოლა არსებობისთვის და ზედ აწერია ან სიცოცხლე, ან სიკვდილი. და ამ საშინელის ქარ-ცეცხლის შემდეგ ბუნება მაინც ნირ-შეუშლელი და შეურყეველი რჩება, მისი დაუდგრომელი ძალა-კი კვლავ გულციად და შეუბრალებლად ჰმოქმედობს.

გიორგი დეკანოზიშვილი

(შემდეგი იქნება)

— დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ პოლკოვნიკი ვასოსი რამდენიმე აფიცრით ერთად კრიტიდგან საბერძნეთში წასულა. კარგა ხანია ხმა დადიოდა, რომ მთავარ-მინისტრს რალის აზრად აქვს, ვასოსი კრიტიდგან გამოიხმოს და მომქმედს ჯარში დიდი თანამდებობა ჩააბაროსო. ვასოსს დიდი სახელი აქვს მოპოებული მთელს საბერძნეთში და, როგორც ზოგიერთი გაზეთები ჰფიქრობენ, მის მხედართ-მთავრად დანიშვნას დიდი მნიშვნელობა ექმნება. როგორც სახალხო გმირი, ვასოსი დიდ ზედგავლენას იქონიებს ჯარის კაცებზედ, ჯარში წეს რიგს დაამყარებს, გაამხნევებს და ყოველივე ეს ჯარისათვის ხომ აუცილებელს საჭიროებას შეადგენს.

## სასამართლოს მატიანე

აზნაურ ვასილ ბახუტაშვილის მოკვლის საქმე.

ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ თელავში გაარჩია საქმე აზნაურ ვასილ ბახუტაშვილის მოკვლისა. ვასილ ბახუტაშვილის მოკვლის საქმის გარჩევას დიდი საზოგადოება დაესწრო, რომლის ნახევარს მანდილოსანნი შეადგენდნენ. აი მოკლედ გარემოება ამ საქმისა.

აზნ. ვასილ ბახუტაშვილი ერთი მცირე მოხელეთაგანი იყო საფოსტო კანტორისა და თავისის ბეჯითობით და ხალისიანის სამსახურით, მშვიდისა და წყნარის ხასიათით, მუდამ ზრდილობიანისა და დაუზარებლის ქცევით ყველას ერთნაირად უყვარდა იგი, რუსსაც, სომეხსაც, ქართველსაცა და თათარსაც. აი ეს ყველასათვის სასიამოვნო კაცი წარსულის წლის 15 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზედ, გამოასალმა წუთისოფელს თელავის პოლიციის მოხელემ (ათისთავმა) თელავის საჩინო ქუჩაზედ, სასეირო ბაღის გვერდზედ. ამ დროს თელავის კლუბში გაჩაღებული ლოტოობა იყო. გაიგეს თუ არა ბახუტაშვილის სიკვდილის ამბავი, ყველანი გამოიქცნენ. პირველად სასიკვდილოდ დაჭრილთან მივიდნენ მანდილოსნები. მკვლელი გაქცეულიყო და სისხლში მოსვრილს ბახუტაშვილს გარს ევლებოდა მისივე ძმა, რომელიც საცოდავად ჰბღაოდა და ორივეს ნაცნობი რცხილაძე. ეს ორნი ამ ადგილამდის დაჭრილთან ერთად მოსულიყვნენ ქვემო ბაზრიდგან. აქ „დესეტნიკი“ გამოელაპარაკებოდა რცხილაძეს, რომელთანაც ერთი საათის წინად ჩხუბი ჰქონოდა ქვემო ბაზარში. ლაპარაკი ჩხუბად აპირებდა გადაქცევას, ბახუტაშვილმა დაუწყო თურმე პოლიციელს დამშვიდება. პოლიციელის მოკამათე რცხილაძე ამ დროს შევიდა, რომ დაეკეტა თავისი დუქანი, რომლის წინაც იდგნენ ყველანი. სწრაფად გავარდა რევოლვერი ერთი ერთმანეთზედ სამჯერ და დუქნიდგან გამოვარდნილმა რცხილაძემ ნახა წაქცეული ბახუტაშვილი, რომელსაც თავზედ მკვლელი ედგა რევოლვერით ხელში და შორი ახლო ძმა ბახუტაშვილისა საზარელის ხმით გაჰკიოდა: „მიშველეთ, ძმა მომიკლესო“! დაჭრილს აღარც ვერცხლის ქამარი და აღარც საათი არ აღმოაჩნდა. იქვე გაიგეს, რომ დაჭრილს ჯიბეში 800 მან. სდებოდა და ვეღარც ეს ფული უპოვნეს. დაჭრილმა იმ ღამესვე დაასახელა თავისი მკვლელი, ხოლო ფული, საათი და ქამარი-კი ვინ წაიღო, ვინ წაართვა, ამაზედ ვერა სთქვა-რა.

გამომძიებელი მაშინვე შეუდგა საქმის გამოძიებას. მეორე დღეს ქამარი იპოვა ახლო ეზოში, ყუთში დამალული; საათი და ფული-კი დაიკარგა. დაჭრილი მესამე დღეს გარდაიცვალა.

გამომძიებელმა ეს ერთი საქმე ორად გაყო: 1) საქმე ბახუტაშვილის მოკვლისა და 2) ქურდობისა. კაცის მოკვლის ბრალი დასდო პოლიციელს, ხოლო ქურდობისა — რცხილაძეს და მის დუქანში მყოფს ყარაღოვს. სასამართლომ პოლიციელი იცნო დამნაშავედ და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა, რცხილაძე-კი გაამართლა.

ამ საქმეში შესანიშნავია: 1) საღამოს მეათე საათზედ ქალაქის დიდს ქუჩაზედ კაცის მოკვლა. 2) ასეთის ბოროტ-მოქმედების ჩადენა იმისაგან, ვინც მკვიდრთა ყოველის განსაცდელის ასაცილებელ დარაჯად არის დაყენებული. 3) სრულიად უმიზეზოდ მოკვლა ადამიანისა (მკვლელი და მოკლული ურთიერთს არ იცნობდნენ). 4) ფულისა, საათისა და ქამრის დაკარგვის ცალკე საქმედ გამოჭრა და ისიც „ქურდობის“ სახელით. 5) უძლურება ნამდვილი დამნაშავის აღმოჩენისა.

ნადიკვრელი

## ბიბლიოგრაფია.

ვენიდგან მოგვივიდა ახლად გამოცემული წიგნი („Zur geographie und statistik der khartrwelischen (sudkaukasischen) sprachen“ (შესახებ გეოგრაფიისა და სტატისტიკისა ქართველთა (სამხრეთ კავკასიელთა) ენისა). ეს თხზულება (in 2) დაბეჭდილია გერმანულს ენაზედ და ეკუთვნის ცნობილს პროფესორს და დოკტორს ჰიუგო შუხარდტს. ამ წიგნის ავტორს უსარგებლნია ყველა იმ მასალით, რომელიც დაბეჭდილია სხვა და სხვა ენებზედ ქართველთა ტომისა, გეოგრაფიისა და ენის შესახებ. ავტორი თავისს გამოკვლევას ამყარებს უმთავრესად იმ საბუთებზედ, რომელიც აღუბეჭდიათ ბროსესა, ა. ცაგარელსა, ბაქრაძესა, ჩუბინაშვილსა, ხახანაშვილსა, ზეიდლიცსა, კონდრატენკოს, ზაგურსკისა, ი. გოგებაშვილსა (ბუნების კარი), მ. ჯანაშვილსა (გორგიჯანიძე და მისნი შრომანი) და სხ. კავკასიაში მოსახლე ერთ ასრე ჰყოფს შუხარდტი:

I ქართველნი: სვანნი, მეგრელნი, სამურზაყანელნი, ლაზნი (ჭანნი) და გიორგიანნი (ქართველნი); ქართველნი: I იმერნი: ა) იმერელი, ბ) გურული და აჭარელი და II ამერნი: ა) ქართლ-კახელნი, ბ) ქართველ მაჰმადიანნი (სამცხელნი?), გ) ფშავნი, დ) ხევსურნი, ე) თუშნი, ვ) ინგილონი, ზ) მთიულნი.

II სხვა კავკასიელნი: ა) აფხაზნი, ბ) ჩაჩანნი (ქისტნი), გ) დიდონი და დ) ავარნი.

III. არიელნი: ა) ოსნი, ბ) ქურთნი, გ) ბერძენნი.

IV. ურალ-ალტაელნი (თათარნი): ა) თურქნი, ბ) ყარაჩაველნი, გ) მთიულ-ყაბარდოელნი, დ) თათარნი.

V. სიმის-ტომისანი: ურიანი.

ყველა ამ ტომ-მოდგმთა ადგილ მდებარეობა ავტორს აღუნიშნავს ფერადის წამლებით მის-მიერ შედგენილს მშვენიერს რუკაზედ, რომელიც ჩაურთავს წიგნის ბოლოში.

ავტორს აუხსნია აგრეთვე მრავალი სახელწოდების წარმოება, მაგ.: მ-ეგრ-ელი სიტყვიდამ ეგრ-ისი, თბილელი სიტყვიდამ ტფილისი, ეგვიპტელი სიტყვიდამ ეგვიპტე, მაწყვერელი სიტყვიდამ აწყური და სხ. და სხ. ქართველთა ტომს შუხარტი აღრიცხავს 1, 200,000 სულად.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნს უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნება ევროპიისა და სხვა ქვეყანათა მეცნიერთათვის, რომელნიც ძალიან ნაკლებად იცნობენ საქართველოს.

მ. ჯ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთ „Revue scientifique“-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო ცნობები, რომელიც შეუკრებია საფრანგეთის მეცნიერს ბ-ნს მუტონს. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მაიმუნი მოკლებული არა ყოფილა ზნეობითს გრძნობას.

მუტონის პაპას ერთი დიდი მაიმუნი ჰყოლია, მეტად გონიერი. ერთხელ ამ მაიმუნმა მოიტაცა ძუძუ-მწოვარა ბავშვი, სახლის აივანზედ აიყვანა და ალერსი დაუწყო. ბავშვმა, რა თქმა უნდა, ყვირილი მორთო და მაიმუნმა თავისი ძუძუ უთავაზა. როგორც იყო მაიმუნს ბავშვი წაართვეს.

ამ მაიმუნს ძლიერ უყვარდა თურმე ერთი თხა. იმ ადგილას, სადაც თხას აძოვებდნენ, რაღაც ეკლიანი მცენარე იყო, ყოველ საღამოს, როდესაც თხა შინ მიდიოდა, იმის ბალანი სავსე იყო ხოლმე ეკლებით, ასე რომ თხას დაწოლა არ შეეძლო და ამიტომ პირდაპირ მაიმუნთან მიაშურებდა ხოლმე: მაიმუნი ხან მოუჯდებოდა თხას, ხან ზურგზედ შეაჯდებოდა და ყოველ საღამოს აცლიდა ორ-სამ ათას ეკალს.

ეჭვი არ არის, რომ მაიმუნის ამ გვარ ქცევის მიზეზი ის იყო, რომ თხა ებრალებოდა. და ვისაც ებრალება ვინმე, ზნეობითს გრძნობას მოკლებული არა ყოფილა.

მაგრამ საკვირველი ის არის, როგორ ექცეოდა ამავე თხას ისევ ის მაიმუნი. ჯერ ეკალს მოაშორებდა ხოლმე და მერე ულმერთოდ დაუწყებდა ტანჯვას: ხან წვერს აგლეჯდა, ხან თვალებში თითს ატაკებდა, ხან ბალანს აგლეჯდა და ამ გვარად უწყალოდ აწვალებდა. ერთის სიტყვით, მაიმუნი ისე არ გაისტუმრებდა თხას, რომ ბოლოს არ ეწვალებინა.

აი კიდევ მეორე საყურადღებო ამბაცი. ამერიკაში, სენტის კუნძულზედ ჯარი იდგა. ერთს ოთახში, სადაც ჯარის სურსათი ელაგა, თახჩაზედ კალათაში კვერცხები ეწყო. ერთხელ მზარეული შევიდა ამ ოთახში კვერცხების მოსატანად და ნახა, რომ ხუთი თუ ექვსი კვერცხი სულ ცალიერი იყო. თურმე ვიღაცას კვერცხები გაეხვრიტა, სულ ერთიანად ამოეწოვნა და მერე იქვე კალათაში დაეწყო. ეჭვი ერთს ზანგ ბიჭზედ მიიტანეს და უნდა ეცემნათ, მაგრამ ბიჭი ღმერთსა და ხატსა ჰფიცულობდა, დამნაშავე არა ვარ; ჯერ ნუ დამსჯით, ქურდს მე გიპოვითო.

იმავე სახლში ერთს კაცს მაიმუნი ჰყავდა და ბიჭმა იფიქრა, ეს სწორედ მაიმუნის საქმე უნდა იყოსო და დარაჯობა დაუწყო. სამ დღეს უდარაჯა, მაგრამ მაიმუნი არ მოსულა. მეოთხეს დღეს ნახა, რომ მაიმუნი ფეხ-აკრეფით შეიპარა იმ ოთახში, სადაც კვერცხები ელაგა, გადმოიღო ერთი კვერცხი, ფრჩხილით გახვრიტა, ამოსწოვა და მერე ისევ თავის ალაგას დასდო. ეს, რა თქმა უნდა, საკვირველი არის. მაიმუნი ტყეშიაც ასე იქცევა, რადგანაც კარგად იცის, კვერცხი რომ გავტეხო, დაიღვრება და ცალიერი დავრჩებიო. საყურადღებო ის არის, რომ, როდესაც ტყეში ნახავს კვერცხს მაიმუნი და ამოსწოვს, ნაჭუჭს გადააგდებს ხოლმე. აქ-კი მაიმუნს კარგადა სცოდნია, ქურდობას შემიტყობენ და დამსჯიანო. ამიტომ კვერცხის ნაჭუჭს-კი არ გადააგდებდა ხოლმე, იქვე კალათში აწყობდა და ალბად ჰფიქრობდა, დღეს და ხვალ მაინც ხომ ვერ შემიტყობენ ქურდობასაო. ხოლო ნაჭუჭი რომ ძირს ჩამოვაგდო, იმ დღესვე შეიტყობენ ქურდობასაო. ერთის სიტყვით, მაიმუნი ისე იქცეოდა ამ შემთხვევაში, როგორც კაცი მოიქცევოდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 აპრილი

**პეტერბურგი.** მისის უდიდებულესობის ხელმწიფა იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის უავგუსტოესს მფარველობის ქვეშე მყოფი შრომის მოყვარეობისა და სამუშაო სახლთა სამზრუნველო შემოდგომიდგან თავისს ჟურნალის „ტრუდოვაია პომოშჩის“ გამოცემას დაიწყებს. რედაქტორად „ჟურნალ მინისტერსტვა იუსტიციის“ რედაქტორია არჩეული, პოლიციის უფლებათა მაგისტრი დერიუჟინსკი.

**ცეტინიე.** მთავრის ნიკოლოზის პეტერბურგს წაბრძანების შესახებ გავრცელებული ხმები საფუძველს მოკლებულია.

**კონსტანტინეპოლი.** ედჰემ-ფაშა იუწყება: „პოლკოვნიკი ენვერი ვოლოში შევიდა. ხალხი მიესალმა მას. ენვერმა ხალხს გამოუცხადა, რომ ქალაქი ოსმალეთის ადმინისტრაციის უწყების ქვეშე იმყოფება და მკვიდრთ ნუფრის შიში ნუ გაქვთო“. ედჰემ-ფაშა თხოულობს, — ვოლოში დაუყოვნებლივ დამოქნის მოხელენი გამოგზავნეთო.

**პარიზი.** დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავის ჩამოგდება დიდად საძნელო საქმეს არ წარმოადგენს და ჩქარაც მოხდებაო. დიდნი სახელმწიფონი კიდევაც შეთანხმდნენ ერთმანეთ შორის ზავის პირობების შესახებ. გერმანიის მხრივ ყოყმანი იმან გამოიწვია, რომ საბერძნეთმა თავის ცირკულიარში, რომელიც დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ წარუდგინა, პირდაპირ და ფორმალურად კრიტის თვით-მართველობის შესახებ უარი განაცხადა, რასაც მისგან თხოულობდნენ. შემდეგ საბერძნეთმა ამ მხრივ თანხმობა გამოაცხადა და გერმანიის ელჩს პლესენს უკვე მიწერილი აქვს, ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა ცდას ზავის ჩამოგდების შესახებ.

**ათინა.** დარწმუნებით მბობენ, რომ უკვე შედგენილია შინაარსი იმ ნოტისა, რომლითაც სახელმწიფონი ოსმალ-ბერძენთა დავაში უნდა ჩაერიონ.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალთა სამმა ბატალიონმა იერიში მიიტანა ბერძენთა ლაშქარზე, რომელიც შესდგებოდა მუდმივ და თავისუფალ მეომარ ჯარისაგან და რომელიც საომრად იდგა კამარინის მაღლობებზე, პრევეზის ჩრდილოეთით, და დაიჭირა იერიშით კამარინი. ბერძნებმა ეკლესიისკენ დაიწიეს. ეკლესიაც უკვე აღებულ იქმნა იერიშით. ბერძნებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ბერძნების ლაშქარმა უკან დაიწია კლარტეტის გზით, ველად, წმ. გიორგის ხიდამდე, სადაც თავ-განწირვით დაესხნენ თავს ოსმალებს, მაგრამ მათგან უკუქცეულ და სრულიად ლტოლვილ იქმნენ.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო.

თქვენ გაზეთში (№ 70) დაბეჭდილია, ვითომ გიორგი წერეთელს უნდა გამოეგზავნოს ჩემთვის მისდამი მიწერილი წიგნი მამია გურიელისა, რომლის ერთი ნაწილი არის მოთავსებული ჩემგან შედგენილს მამიას ცხოვრების აღწერაში *).

ჭეშმარიტების აღსადგენად გთხოვ დაბეჭდოთ, რომ ეს წიგნი მე თავ. კირილე ლორთქიფანიძისგან მივიღე და არა გიორგი წერეთლისგან. რომ ვკითხე კირილეს, საიდამ ჩაუვარდა იმას ხელში ეს წიგნი, პასუხად მითხრა: მამიამ 1872 წელს გამოჰგზავნა „კრებულის“ რედაქციაში ბაირონის ლექსების თარგმანი, ერთ რვეულად შეკინძული, და ეს წიგნი ამ რვეულის ბოლოს იყო მოქცეული. ლექსები რომ დაიბეჭდა ჟურნალში, წიგნი სხვათა „ორიგინალებთა“ შორის, რედაქციაში დარჩა და როცა ამის შემდეგ მოკლე დროში გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე საზღვარს გარეთ წავიდნენ, მთელი არხივი რედაქციისა მე დამრჩა და, საჭიროებამ რომ მოითხოვა, ეს წიგნი იმ არხივიდამ ამოვიღე და გამოგიგზავნეო.

იცოდა, თუ არ იცოდა გიორგი წერეთელმა, რომ ეს წიგნი ინახებოდა კირილე ლორთქიფანიძესთან, ამისი მე არა ვიცი რა და, მგონი, არც კირილემ უნდა იცოდეს.

თქვენი ღრმად პატივის-მცემელი ი. მეუნარგია.

*) ეს გარემოება მოხსენებული იყო ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მე-70 №-ში დაბეჭდილ წერილში და, მაშასადამე, ამ ცნობის სრული პასუხის მგებელი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილია და არა „ივერიის“ რედაქცია.

—

ამას წინად თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ ერთს ნომერში დასტამბული იყო წერილი კავკავიდგან ქართულის წარმოდგენის შესახებ. რადგან ამ წერილის მომწერად ზოგიერთები მე მთვლიან, იმედი მაქვს, „ივერიის“ რედაქცია აცნობებს კავკაველ მკითხველებს, რომ იგი წერილი მე არ მეკუთვნის და, მაშასადამე, არც ვეთანხმები ბევრს ცნობას, რომელიც მოხსენებულია კავკავიდგან მოწერილს წერილში *).

ლ. ბოცვაძე

*) ბ-ნ ლ. ბოცვაძის სურვილის თანახმად ვაცხადებთ, რომ მის მიერ ხსენებული წერილი მისი მოწერილი არ არის.

რედ.

—

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ჩემის მოსწავლეებითურთ დროებით ბათუმში მცხოვრებს ნიკო გიგოს ძე ცეცხლაძეს, რომელმაც კეთილ ინება და გამოუგზავნა ჩემ მოსწავლეებს 50 ცალი ქართული სახარება და შარმადინ სადუქვაძეს, რომელმაც აჩუქა ჩემს მოსწავლეებს მთელის წლისათვის სამყოფი კარანდაში, რიცხვით 300. ვისურვებ, რომ სხვებმაც გაიხსენონ ჩემი ღარიბი მოსწავლეები და დახმარება აღმოუჩინონ.

ლიხაურის სკოლის მასწავლებელი ა. ოდიშარია

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 го Апрѣля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.